

MESTINON

მოხმარების ინსტრუქცია

MESTINON--ის 60 მილიგრამიანი გარსიანი აბები

მიიღება ორალური გზით.

- **ეფექტური ნივთიერება**: თითოეული გარსიანი აბი შეიცავს 60 მილიგრამ ნახშირს.
- **დამხმარე ნივთიერებები**: კოლოიდური უწყლო სილიციუმი, პრეჟელატინირებული სახამებელი, პოვიდონი, სიმინდის სახამებელი, ტალკი, მაგნიუმის სტეარატი, საქაროზა შაქარი), ბრინჯის სახამებელი, არაბული წებო, წითელი რკინის ოქსიდი, ყვითელი რკინის ოქსიდი და პარაფინი.

ამ პრეპარატის მოხმარების დაწყებამდე ყურადღებით წაიკითხეთ მოხმარების ინსტრუქცია, ვინაიდან ის შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას.

- შეინახეთ წინამდებარე მოხმარების ინსტრუქცია. შემდგომში შეიძლება დაგჭირდეთ მისი ხელახლა წაკითხვა.
- დამატებითი კითხვების წარმოქმნის შემთხვევაში, მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.
- ვინაიდან წინამდებარე პრეპარატი პირადად თქვენთვის არის გამოწერილი, სხვა პირებისთვის მისი მიცემა დაუშვებელია.
- წინამდებარე პრეპარატის მოხმარებისას ექიმთან ან ფარმაცევტთან მიმართვის დროს, აუცილებლად აცნობეთ თქვენს ექიმს ამ პრეპარატის მიღების შესახებ.
- დაიცავით წინამდებარე მოხმარების ინსტრუქციაში აღნიშნული წესები. ექიმის მიერ დანიშნული დოზის გადაჭარბება ან შემცირება დაუშვებელია.

<u>წინამდებარე მოხმარების ინსტრუქციაში მოცემულია ქვემოთ აღნიშნული სათაურები</u>:

1. რას წარმოადგენს MESTINON და რისთვის გამოიყენება?
2. რას უნდა მიაქციოთ ყურადღება MESTINON -ის მოხმარების დაწყებამდე?
3. როგორ უნდა მოიხმაროთ MESTINON?
4. რა სახის გვერდითი ჩვენებები შეიძლება წარმოიქმნას?
5. MESTINON -ის შენახვის წესები.

1. რას წარმოადგენს MESTINON და რისთვის გამოიყენება?

MESTINON წარმოადგენს მრგვალ, ორივე მხრიდან ამოზნექილ და ფორთოხლის ფერის გარსიან აბებს.

MESTINON წარმოდგენილია 20 გარსიანი აბის შემცველ ფერადი მინის ფლაკონებში.

MESTINON შეიცავს ეფექტური ნივთიერების სახით ქოლინესტერაზას ინჰიბიტორებად წოდებული პრეპარატების ჯგუფში შემავალ პირიდოსტიგმინს. ის ახორციელებს აცეტილქოლინად წოდებული ქოლინესტერაზის ფერმენტის ინჰიბირებას, რომელიც ახდენს ნივთიერების დანაწევრებას, და უზრუნველყოფს ნერვიული იმპულსების კუნთებში გადაცემას. ამიტომ ისამცირებს აცეტილკოლინის ზეგავლენას და კუნთების ანომალური სისუსტის შემთხვევაში, აუმჯობესებს კუნთების მუშაობას.

MESTINON გამოიყენება ქვემოთ აღნიშნულ შემთხვევებში:

- მიასთენიის მკურნალობის დროს (კუნთების ნებაყოფლობითი მოძრაობის დროს ნეირომუსკულური სახსრების დაავადება, რომელიც ვლინდება ისეთი სიმპტომებით, როგორიცაა დაღლილობა და სისუსტე).
- ნაწლავების პარალიტიკური გაუვალობა (ნაწლავების კუნთების მუშაობაზე დამოკიდებული ნაწლავების გაუვალობა), ატონიური შეკრულობა (ნაწლავის სიზარმაცით გამოწვეული გაუვალობა).
- პოსტ-ოპერაციულ პერიოდში შარდის ბუშტში შარდის დიდი ოდენობით დაგროვების პრევენცია.

2. MESTINON -ის მოხმარებამდე დასაცავი წესები

ნებისმიერი პრეპარატის მოხმარების დაწყებამდე მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.

ქვემოთ აღნიშნულ შემთხვევებში MESTINON -ის მოხმარება დაუშვებელია:

- იმ შემთხვევაში, თუ თქვენ პირიდოსტიგმინის, ნახშირების და MESTINON -ის შემცველი ნივთიერების მიმართ გაქვთ ჰიპერმგრძნობიარობა (ალერგია).
- თუ თქვენ კუჭნაწლავში ან საშარდე გზებში გაქვთ მექანიკური გაუვალობა.

ქვემოაღნიშნულ შემთხვევებში MESTINON -ის მიღების დროს უნდა გამოიჩინოთ ყურადღება:

- თუ თქვენ გაქვთ ასთმის, სპასტიური ბრონქიტის (გარდა ბრონქიტის ნიშნებისა და სიმპტომებისა, სასუნთქი გზების შევიწროების (ბრონქოსპაზმის) ან ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციის დაავადების (KOAH) მაგვარი რესპირატორული დაავადება, ამ პრეპარატის მოხმარებამ შეიძლება გამოიწვიოს სასუნთქი გზების შევიწროვება ან ფილტვების ფუნქციების მოშლა. ამიტომ, თუ გაქვთ რომელიმე ზემოაღნიშნული დაავადება, MESTINON-ის მიღების დროს უნდა გამოიჩინოთ ყურადღება.
- უეცარი კორონარული ოკლუზია (მდგომარეობა, როდესაც თრომბი უეცრად წყვეტს გულის კუნთში სისხლის მიწოდებას.
- თუ თქვენ გაქვთ შენელებული გულისცემის (ბრადიკარდია) ან გულის გამტარობის დარღვევების (ტრიოვენტრიკულური ბლოკი = AV ბლოკი) მაგვარი გულის რითმის დარღვევები (არითმია), მიმართეთ ექიმს, რომელიც მოგაწოდებთ ინფორმაციას MESTINON-ით მკურნალობასთან დაკავშირებული რისკების შესახებ. (ხანდაზმული პაციენტები შეიძლება უფრო მგრძნობიარე იყვნენ რითმის დარღვევების მიმართ).
- თუ თქვენ გაქვთ დაბალი არტერიული წნევა (ჰიპოტონია).
- თუ თქვენ გაწუხებთ ჭარბი ოფლიანობა, გულისცემის შენელება, გაუვალობა და კუნთების კრუნჩხვები, ეს შეიძლება იყოს ნერვული სისტემის ნაწილის გადაჭარბებული აქტივობის მაჩვენებელი.
- თუ თქვენ გაქვთ კუჭის წყლული.

- თუ თქვენ გაქვთ ეპილეფსია.
- თუ თქვენ გაქვთ პარკინსონის დაავადება ან სხვა დაავადებებთან დაკავშირებული ჩივილები (კიდურების კანკალი, სხეულის მოძრაობების შენელება, კუნთების გამაგრება, წინ დახრილი დგომის პოზა, პატარა ნაბიჯებით და ფეხის თრევით სიარული).
- თუ თქვენ დაგიდგინდათ ფარისებრი ჯირკვლის ჰიპერაქტიურობა.
- თუ თქვენ გაქვთ თირკმელებთან დაკავშირებული პრობლემები.

MESTINON-ის ძალიან მაღალი დოზით მიღების შემთხვევაში, ნიკოტინენერგიული ეფექტისათვის ზიანის მიყენების გარეშე, მისი მუსკარიინული ეფექტის შესანარჩუნებლად, შეიძლება საჭირო გახდეს ატროპინი ან სხვა ანტიკოლინერგიული ნივთიერებები.

ამ პრეპარატის მაღალმა დოზამ შეიძლება გამოიწვიოს მკვეთრად გამოხატული ან მომატებული კუნთების სისუსტის სახით კოლინერგიული კრიზისი (იხილეთ თავი 3 – „საჭიროზე მეტი დოზით MESTINON-ის მოხმარების შემთხვევაში“).

თიმუსის ჯირკვლის მოკვეთის (ტიმექტომია) ოპერაციის ჩატარების შემდეგ, საჭიროა თქვენი ექიმის მიერ გამოწერილი დოზის შემცირება.

თუ ეს გაფრთხილებები წარსულშიც ძალაში იყო თქვენთვის, რჩევისათვის მიმართეთ თქვენს ექიმს.

MESTINON-ის საკვებ-სასმელთან ერთად მიღება

MESTINON-ის საკვებ-სასმელთან ერთად მიღება დაუშვებელია, მას უნდა დააყოღოთ წულის გარკვეული რაოდენობა.

ფეხმძიმობა

პრეპარატის მოხმარების დაწყებამდე რჩევისთვის მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.

თუ გეგმავთ ფეხმძიმობას, პრეპარატის მიღების დაწყებამდე რჩევისთვის მიმართეთ თქვენს ექიმს. საჭიროების გარეშე, ფეხმძიმობის პერიოდში MESTINON-ის მიღება არ არის რეკომენდირებული. ეფექტური ნივთიერება პირიდოსტიგმინის ნახშირი აღწევს პლაცენტაში (სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს დედის და შვილის შორის საკვების და გაზების გაცვლას). ორსულ ქალებში დაავადების სიმძიმე შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს, მაღალი დოზით გამოწვეული კოლინერგიული კრიზისის (სხეულში არსებული აცეტილკოლინად წოდებული ნივთიერების ზრდით გამოწვეული ფაღარათი, მუცლის კრუნჩხვები, გულისცემის ტემპის შენელება, სუნთქვის უკმარისობა, შორიდან ხედვის დარღვევა) თავიდან ასაცილებლად, საჭიროა დიდი ყურადღების გამოჩენა. ამიტომ, ფეხმძიმობის დროს MESTINON-ის მიღება დასაშვებია მხოლოდ ექიმის ნებართვით. გარდა ამისა, აუცილებელია ახალშობილზე პრეპარატის მოქმედების მონიტორინგის ჩატარება.

თუ მკურნალობის დროს თქვენ მიხვდებით, რომ ხართ ფეხმძიმედ, დაუყოვნებლივ რჩევისთვის მიმართეთ თქვენს ექიმს.

ძუძუთი კვება

პრეპარატის მოხმარების დაწყებამდე რჩევისთვის მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.

ბავშვის ძუძუთი კვების პერიოდში პრეპარატის უსაფრთხოება არ არის დადგენილი. კვლევების ჩატარების შედეგად დადგენილი იქნა, რომ MESTINON მცირე ოდენობით აღწევს დედის რძეში. ბავშვის ძუძუთი კვების პერიოდში ექიმმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ბავშვის ძუძუთი კვების ან MESTINON-ის მიღების შეწყვეტის შესახებ.

მანქანის ტარება და ხელსაწყოს მოხმარება

მხედველობის დარღვევა შეიძლება გამოწვეული იყოს თქვენი დაავადებით ან MESTINON-ის მიღებით. MESTINON-ს შეუძლია გავლენა მოახდინოს მანქანის ტარების და ხელსაწყოს მოხმარების უნარზე.

MESTINON-ის მიღების პერიოდში მანქანის ტარების და ხელსაწყოს მოხმარების დროს საჭიროა დიდი ყურადღების გამოჩენა.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია MESTINON-ის შემცველობაში არსებული ზოგიერთი დამხმარე ნივთიერებების შესახებ

ამ პრეპარატის ყოველი გარსიანი აბი შეიცავს 161,6 გრამ საქაროზას (შაქარს). თქვენი ექიმის მიერ ზოგიერთი შაქრების მიმართ აუტანლობის შესახებ თქვენთვის ინფორმაციის ადრე მიწოდების შემთხვევაში, ამ პრეპარატის მოხმარების დაწყებამდე მიმართეთ თქვენს ექიმს.

სხვა წამლებთან ერთად მოხმარება

MESTINON-ის ქვემოაღნიშნულ პრეპარატებთან ერთად მიღება დაუშვებელია:

- მეთილცელულოზად და დამხმარე ნივთიერებად წოდებული მეთილცელულოზის შემცველი პრეპარატები ხელს უშლის ნაწლავებში MESTINON-ის აბსორბციას.

MESTINON-ის ქვემოაღნიშნულ პრეპარატებთან ერთად მიღება დასაშვებია:

- სტეროიდები და იმუნურ სისტემაზე გავლენის მომხდენი პრეპარატები (შეგიძლიათ სთხოვოთ თქვენს ექიმს MESTINON-ის დოზის შემცირება).
- ამინოგლიკოზიდური ანტიბიოტიკები (გამოიყენება ინფექციური დაავადებების დროს).
- ადგილობრივი და ზოგადი ანესთეზიის პრეპარატები.
- ანტიარითმიული აგენტები (გამოიყენება გულის რითმის დარღვევის მკურნალობის დროს).

- კუნთების რელაქსანტები პანკურონიუმი და ვეკურონიუმი (გამოიყენება კუნთების რელაქსანტების სახით სამედიცინო ან ქირურგიული პროცედურების შესრულების დროს) და სუქსამეტონიუმი (მოკლე ვადიანი კუნთების რელაქსანტები).
- სკოპოლამინი და ატროპინი (გამოიყენება გულის რითმის გადაჭარბებული შენელების დროს). ამავდროულად, წარმოადგენს MESTINON-ის ანტიდოტს.
- ჰიოცინის მაგვარი ანტიმუსკარინები (გამოიყენება კუჭ-ნაწლავის არხის, ნაღვლის და შარდის სადინარების სპაზმების დროს).
- DEET (N.N.-დიეტილ-მ-ტოლუამიდი) (ზედაპირულის სახით გამოყენებული მწერების საწინააღმდეგო საშუალებებში არსებული ნივთიერება).

ამჟამად რეცეპტით გამოწერილი ან არ გამოწერილი ნებისმიერი პრეპარატის მოხმარების ან ბოლო პერიოდის განმავლობაში მოხმარების შემთხვევაში, ამის შესახებ აცნობეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.

3. MESTINON-ის მოხმარების წესი

ცალკე რეკომენდაციების გაცემამდე, დაიცავით ექიმის რეკომენდაციები.

ინსტრუქციები სათანადო მოხმარების და დოზის / მოხმარების სიხშირის შესახებ:

თქვენი ექიმი მოგაწოდებთ ინფორმაციას MESTINON-ის დღიური დოზის შესახებ. მიასთენიის გრავისის დროს მისაღები დოზა ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს დაავადების სიმძიმისა და მკურნალობის შედეგის მიხედვით. ამიტომ, რეკომენდირებული დოზები მოცემულია მხოლოდ ცნობისათვის.

თუ თქვენ იტარებთ მიასთენია გრავისიის მკურნალობას:

მთლიანი დღიური დოზა შეადგენს 120-1200 მილიგრამს. აღნიშნული დოზა შეიძლება გაზრდილი იქნეს ექიმის მიერ თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით.

თუ თქვენ იტარებთ მკურნალობას ნაწლავების პარალიტიკური გაუვალობის (ნაწლავების კუნთების მუშაობაზე დამოკიდებული ნაწლავების გაუვალობის), ატონიური შეკრულობის (ნაწლავის სიზარმაცით გამოწვეული გაუვალობის) ან პოსტ-ოპერაციულ პერიოდში შარდის ბუშტში შარდის დიდი ოდენობით დაგროვების პრევენციის გამო.

მიიღეთ ერთი გარსიანი აბი. თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თქვენმა ექიმმა შეიძლება გირჩიოთ რეკომენდირებული დოზის 4 საათიანი შუალედებით გამეორება. ძირითადად დღიური დოზა შეადგენს 60-240 მილიგრამს.

მოხმარების ხერხი და მეთოდი

MESTINON მიიღება ორალური გზით წყლის გარკვეული რაოდენობით.

მოხმარების განსაკუთრებული შემთხვევები:

ბავშვების მიერ მოხმარება:

ბავშვის მიერ მოხმარების შემთხვევაში, ექიმი მოითხოვს MESTINON-ის მიღების მცირე დოზით დაწყებას და ნელ-ნელა დოზის გაზრდას.
მიასთენია გრავისის დროს:
6-12 წლის ბავშვებისათვის საწყისი დოზა შეადგენს 1 გარსიან აბს. მთლიანი დღიური დოზა იცვლება 1 გარსიანი აბიდან 6 გარსიან აბამდე.
ნაწლავების პარალიტიკური გაუვალობის (ნაწლავების კუნთების მუშაობაზე დამოკიდებული ნაწლავების გაუვალობის), ატონიური შეკრულობის (ნაწლავის სიზარმაცით გამოწვეული გაუვალობის) ან პოსტ-ოპერაციულ პერიოდში შარდის ბუშტში შარდის დიდი ოდენობით დაგროვების პრევენციის გამო მკურნალობის დროს.

ბავშვებისათვის ძირითადი დღიური დოზა შეადგენს 15-60 მილიგრამს. დოზის სიხშირე შეიძლება შეიცვალოს პაციენტის საჭიროების მიხედვით. მაგრამ პროდუქტის გარსიანი აბის ფორმის გამო, 60 მილიგრამზე ნაკლები დოზები არ გამოიყენება.

6 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვებისათვის MESTINON-ის მიღება არ არის რეკომენდირებული.

ხანდაზმული პირების მიერ მოხმარება:
MESTINON-ის მიღება ხორციელდება ისეთი ფორმით, როგორც ზრდასრული ადამიანებისათვის.

თირკმელების უკმარისობა:
თუ თქვენ გაქვთ თირკმელების უკმარისობა, თქვენი ექიმი დაადგენს თქვენთვის საჭირო დოზას და მკურნალობის შედეგების მიხედვით, თქვენი ექიმი ნელ-ნელა შეამცირებს MESTINON-ის დოზას.

ღვიძლის უკმარისობა:
რაიმე განსაკუთრებული მოხმარების დოზა არ არის დადგენილი.
თუ თქვენ შეამჩნევთ MESTINON-ის ძლიერ ან სუსტ ეფექტს, მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.

თუ თქვენ ღებულობთ MESTINON-ს საჭიროზე დიდი დოზით:

თუ თქვენ ღებულობთ MESTINON-ს საჭიროზე დიდი დოზით, რჩევისთვის მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.

თუ თქვენ ღებულობთ MESTINON-ს საჭიროზე დიდი დოზით, ამან შეიძლება გამოიწვიოს ისეთი სიმპტომები, როგორიცაა მუცლის ტკივილი, ნაწლავების აქტიურობის ზრდა, ფაღარათი, გულისრევა და პირღებინება, სასუნთქი გზების სეკრეციის ზრდა, ნერწყვდენის ზრდა, ძლიერი ოფლიანობა და თვალის გუგების შემცირებასთან დაკავშირებით მხედველობის მოშლა, კუნთების კრუნჩხვები, თრთოლვა და კუნთების მოდუნება. ამასთან, შეიძლება წარმოიქმნას ისეთი მოვლენები, როგორიცაა არტერიული წნევის დაცემა და გულისცემის ტემპის ჭარბად შენელება.
ზემოაღნიშნულ შემთხვევებში თქვენთვის ინტრავენური გზით შეყვანილი იქნება ატროპინად წოდებული ანტიდოტი. სუნთქვასთან დაკავშირებით პრობლემების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია ხელოვნური სუნთქვის ჩატარება.

თუ თქვენ დაგავიწყდათ MESTINON-ის მიღება:
თუ თქვენ დაგავიწყდათ MESTINON-ის მიღება, საჭიროა შემდეგი დოზის დაგეგმილ დროს მიღება. თუ თქვენ დაგავიწყდათ პრეპარატის მიღება და მოგიახლოვდათ შემდეგი დოზის მიღების დრო, ნუ მიიღებთ შემდეგ დოზას.

მიუღებელი დოზის ანაზღაურების მიზნით ორმაგი დოზის მიღება დაუშვებელია.

4. როგორია შესაძლებელი გვერდითი ჩვენებები?
ისევე, როგორც ყველა წამალი, MESTINON-ის მიმღებ ზოგიერთ პაციენტებს შეიძლება წარმოექმნათ გვერდითი ჩვენებები.

ქვემოთ აღნიშნული ერთ-ერთი გვერდითი ჩვენების წარმოქმნის შემთხვევაში, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეთ თქვენს ექიმს ან მიმართეთ თქვენთვის უახლოესი საავადმყოფოს სასწრაფო დახმარების განყოფილებას:

- ხელ-ფეხის, მაჯების, სახის და ტუჩების დასიება ან განსაკუთრებით პირის და ყელის დასიება, რაც ართულებს ყლაპვას და სუნთქვას.
- გამონაყარი.
- გულის წასვლა.

ზემოაღნიშნული ჩვენებები წარმოადგენს საკმაოდ სერიოზულ გვერდით ჩვენებებს. ზემოთ აღნიშნული ერთ-ერთი გვერდითი ჩვენების წარმოქმნის შემთხვევაში, ეს იმის მაჩვენებელია, რომ MESTINON-ი თქვენში იწვევს ალერგიას და შეიძლება საჭირო გახდეს სამედიცინო ჩარევა ან საავადმყოფოში დაწოლა.

სერიოზული გვერდითი ჩვენებები საკმაოდ იშვიათად წარმოიქმნება. გვერდითი ჩვენებები მათი სიხშირის მიხედვით იყოფა ქვემოთ აღნიშნულ კატეგორიებად:

ძალიან გავრცელებული: შეიძლება წარმოექმნას 10 პაციენტიდან სულ მცირე ერთს.

გავრცელებული: შეიძლება წარმოექმნას 10 პაციენტიდან ერთს, მაგრამ 100 პაციენტიდან ერთზე მეტს.

არ გავრცელებული: შეიძლება წარმოექმნას 100 პაციენტიდან ერთზე ნაკლებს, მაგრამ 1.000 პაციენტიდან ერთზე მეტს.

იშვიათი: შეიძლება წარმოექმნას 1.000 პაციენტიდან ერთზე ნაკლებს, მაგრამ 10.000 პაციენტიდან ერთზე მეტს.

ძალიან იშვიათი: შეიძლება წარმოექმნას 10.000 პაციენტიდან ერთზე ნაკლებს.

უცნობი: ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად დადგენა შეუძლებელია.

იშვიათი:

- კანზე გამონაყარი (ძირითადად მცირდება წამლის მიღების შეწყვეტის შემდეგ. ნახშირის შემცველი პრეპარატების მოხმარება დაუშვებელია).

უცნობი:

- პრეპარატის მიმართ ჰიპერმგრძნობელობა.
- გულის წასვლა.
- თვალი. გულწასული
- გუგები. გულწასული
- შემცირება (მიოზი).
- თვალების აცრემლება.
- აკომოდაციის დარღვევა. (მაგალითად, დაბინდული მხედველობა).
- გულისცემის რითმის დარღვევის (ბრადიკარდიის (გულისცემის რითმის სერიოზული შენელების), ტაქიკარდიის (გულისცემის რითმის სერიოზული აჩქარების), AV ბლოკის (გულის გამტარობის დარღვევის) ჩათვლით).
- პრინცმეტალის სტენოკარდია (გულმკერდის ტკივილი).
- სახის და კისრის გაწითლება.
- არტერიული წნევის დაცემა.
- სუნთქვის უკმარისობასთან ერთად, ფილტვებში ნახველის დაგროვება.
- გულისრევა და პირღებინება.
- ფაღარათი.
- კუჭნაწლავის აქტიურობის ზრდა.
- ნერწყვის ჭარბი დაგროვება.
- აბდომინალური სიმპტომები (მაგალითად, ტკივილი და კრუნჩხვები).
- ჭარბი ოფლიანობა.
- ჭინჭრის ციება.

- კუნთების მოდუნების ზრდა.
- კუნთების კრუნჩხვა.
- ხელების კანკალი.
- კუნთების კრუნჩხვა ან ჰიპოტონია (კუნთების სისუსტე).
- სასწრაფოდ მოშარდვის სურვილი.

ვინაიდან ერთ-ერთი ზემოაღნიშნული სიმპტომი შეიძლება იყოს ქოლინერგული კრიზისის მაჩვენებელი, მათი გამომწვევი მიზეზის დადგენის მიზნით აუცილებელია ექიმთან მიმართვა. წარმოქმნილი სავარაუდო პარასიმპატომიმეტური ეფექტის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია პარენტერალური ატროპინ სულფატის მოხმარება.

<u>გვერდითი ჩვენებების მოხსენება</u>

წინამდებარე ინსტრუქციაში გაუთვალისწინებელი ნებისმიერი გვერდითი ჩვენების წარმოქმნის შემთხვევაში, რჩევისთვის მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს. გარდა ამისა, წარმოქმნილ გვერდით ჩვენებებთან დაკავშირებით შეგიძლიათ დააკლიკოთ www.titck.gov.tr ვებ გვერდზე არსებულ „წამლების გვერდითი ჩვენებების შესახებ შეტყობინების“ ლინკს ან დარეკოთ 0 800 314 00 08 ნომერზე თურქეთის ფარმაკოლოგიური ზედამხედველობის ცენტრში (TÜFAM) და აცნობოთ გვერდითი ჩვენებების შესახებ. წარმოქმნილი გვერდითი ჩვენებების შესახებ შეტყობინების დატოვების შემდეგ, თქვენ მოგეწოდებათ უფრო მეტი ინფორმაცია თქვენს მიერ მოხმარებული პრეპარატის უსაფრთხოების შესახებ.

წინამდებარე მოხმარების ინსტრუქციაში გაუთვალისწინებელი ერთ-ერთი ზემოაღნიშნული გვერდითი ჩვენების წარმოქმნის შემთხვევაში, მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.

5. MESTINON-ის შენახვა

შეინახეთ MESTINON ბავშვების ხელმიუწვდომელ ადგილზე თავის შეფუთვაში.

შეინახეთ პრეპარატი 25^0C-ზე ნაკლები ტემპერატურის პირობებში ორიგინალ შეფუთვაში.

პრეპარატი მოხმარებული უნდა იქნეს მისი ვარგისიანობის ვადის შესაბამისად.

შეფუთვაზე აღნიშნული ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ MESTINON-ის მოხმარება დაუშვებელია.

ვადაგასული ან გამოუყენებელი პრეპარატების ნაგავში ჩაგდება არ არის რეკომენდირებული! გადაეცით პრეპარატები გარემოს დაცვის და ურბანიზაციის სამინისტროს.

ლიცენზიის მფლობელი: შპს „მედა ფარმა ილაჩ სან. ვე თიჯ.“-ი.

სარიერი / სტამბოლი.

წარმოების ადგილი: სს „ICN პოლფა რზესზოვ“-ი, რზესზოვი / პოლონეთი.

წინამდებარე მოხმარების ინსტრუქცია დამტკიცებულია 11.02.2021 წელს.